

ტესტი ისტორიაში

დამატებითი სესია

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 2 საათი და 40 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!



ინსტრუქცია დავალებებისათვის № 1-15.

თითოეულ შეკითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენ მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) 1. რა იყო ფინიკიური ქალაქ-სახელმწიფოების განვითარების ერთ-ერთი შედეგი?

ა) პალესტინაში ერთიანი სამეფოს ჩამოყალიბება;

ბ) ბერძენ მოლაშქრეთა თავდასხმების მოგერიება;

გ) ხმელთაშუაზღვისპირეთის კოლონიზაცია;

დ) ზღვაზე ეგვიპტელთა მეკობრეობის აღკვეთა.

(1) 2. რომელი ინფორმაციაა მართებული აქემენიანთა სახელმწიფოს შესახებ?

- ა) მცირე აზიის ბერძნული კოლონიების წინააღმდეგ დაწყებულ ომში კამბისმა გაიმარჯვა;
- ბ) ხოსროს უშუალო მემკვიდრემ გააგრძელა მისი პოლიტიკა და ეგვიპტის სამეფო დაიპყრო;
- გ) პეროზმა შეწყვიტა დაპყრობითი ომები და თავდაცვით პოლიტიკაზე გადავიდა;
- დ) სახელმწიფოს უკანასკნელი მმართველი დარიოსი მაკედონელებთან ბრძოლაში დამარცხდა.

(1) 3. რომელი ინფორმაციაა მართებული ელინიზმის შესახებ?

- ა) ახალ სამეფოებს ბერძნულ-მაკედონური დინასტიები მართავდნენ;
- ბ) ახალი ეპოქა ფილიპე მაკედონელის მიერ იმპერიის შექმნით დაიწყო;
- გ) ევროპაში სწრაფი გავრცელება დაიწყო აღმოსავლურმა კულტურამ;
- დ) დიადოქოსების შეთანხმებით პტოლემაიოსმა მცირე აზიაში ახალი სახელმწიფო დააარსა.

(1) 4. რა ფაქტი ადასტურებს ქართლის სამეფოს ვასალურ დამოკიდებულებას სასანიანთა ირანისადმი V საუკუნის მეორე ნახევარში?

- ა) შაჰის ბრძანებით ახლადაგებული თავდაცვითი ნაგებობების სისტემის მოშლა სამხრეთ საზღვარზე;
- ბ) ქართლის მარზპანის დახმარება სომხეთსა და ალბანეთში აჯანყებულების წინააღმდეგ ბრძოლაში;
- გ) ქრისტიანობის პარალელურად ისლამის თავისუფლად ქადაგების დაშვება;
- დ) ქართლის მეფის მონაწილეობა ირანის ჯართან ერთად შუა აზიაში ლაშქრობაში.

(1) 5. რომელი სახელმწიფო დაამარცხეს მონღოლებმა საქართველოში პირველ შემოჭრამდე?

ა) ხორეზმის სამეფო;

ბ) ბაღდადის საამირო;

გ) რუმის სასულთნო;

დ) დამასკოს სახალიფო.

(1) 6. რა შედეგით დასრულდა XIV საუკუნეში გამართული კოსოვოს ბრძოლა?

- ა) ოსმალებს ევროპელმა რაინდებმა შეუტოეს და დუნაიზე გადასვლის საშუალება არ მისცეს;
- ბ) ბიზანტიის იმპერატორი შეეცადა ოსმალების შეჩერებას, მაგრამ დამარცხდა;
- გ) ბულგარელებისა და ბერძნების გაერთიანებულ ჯართან ოსმალებმა მარცხი იწვნოეს;
- დ) ოსმალებს სერბთა ჯარი დაუპირისპირდა, მაგრამ ბრძოლაში ოსმალებმა გაიმარჯვეს.

(1) 7. რომელი ფაქტი უკავშირდება მარტინ ლუთერის სახელს?

ა) ჰელიოცენტრული თეორიის შექმნა;

ბ) ბიბლიის გერმანულ ენაზე თარგმნა;

გ) ანგლიკანური ეკლესიის დაფუძნება;

დ) ხელისუფლების დანაწილების პრინციპის შემუშავება.

(1) 8. რა მიზეზით გაჭიანურდა ირანში ვახტანგ VI-ის ქართლის მეფედ დამტკიცება?

ა) ვახტანგი დიდი ხანი ცხოვრობდა რუსეთში და ამიტომ შაჰი არ ენდობოდა;

ბ) შაჰი ოსმალეთიდან გამოსატყუებლად ქართლის ტახტს ვახტანგის ძმას ჰპირდებოდა;

გ) ვახტანგი დიდი ხანი უარს ამბობდა რწმენის შეცვლასა და ისლამის მიღებაზე;

დ) ვახტანგი უარს აცხადებდა შეეწყვიტა სავაჭრო ურთიერთობა ევროპასთან.

(1) 9. რომელი ევროპელი მონარქი არ მონაწილეობდა შვიდწლიან ომში?

ა) პრუსიის მეფე ფრიდრიხ II;

ბ) საფრანგეთის მეფე ლუი XIV;

გ) რუსეთის იმპერატორი ელიზავეტა I;

დ) ავსტრიის იმპერატორი მარია-ტერეზა.

(1) 10. რომელი მსჯელობაა მართებული ქუჩუკ-კაინარჯის ზავის შესახებ?

- ა) ოსმალეთი აჭარას იმერეთის სამეფოს, ხოლო ჯავახეთს ქართლ-კახეთის სამეფოს უთმობდა;
- ბ) იმერეთი რუსეთის იმპერიის პროტექტორატად ცხადდებოდა;
- გ) ოსმალები ფოთის ციხეს თმობდნენ, მაგრამ ის არც რუსებს არ უნდა დაეკავებინათ;
- დ) ოსმალეთი უარს აცხადებდა იმერეთიდან ხარკის აღებაზე.

(1) 11. რა ეწოდება ევროპის დიდი სახელმწიფოების წარმომადგენელთა შეხვედრას, რომელზეც ნაპოლეონის ომების შემდგომი ევროპის მოწყობის საკითხები განიხილებოდა?

ა) ბერლინის კონგრესი;

ბ) პარიზის კონფერენცია;

გ) ვენის კონგრესი;

დ) პოტსდამის კონფერენცია.

(1) 12. რა უკავშირდება გენერალ მოლტკეს მოღვაწეობას?

ა) ესპანეთში მიმდინარე რეკონკისტას ხელმძღვანელობა;

ბ) ავსტრია-უნგრეთში სამხედრო რეფორმის გატარება;

გ) გერმანიის გაერთიანებისთვის ბრძოლა;

დ) საღვთო რომის იმპერიის გაძლიერება.

(1) **13. რომელი მსჯელობაა მართებული იტალიის გაერთიანების შესახებ?**

- ა) რუსეთის გამარჯვებამ ავსტრიასთან ომში გააადვილა ქალაქ ფლორენციის დაკავება იტალიის სამეფოს ჯარების მიერ და ეს გარდამტეხი აღმოჩნდა გაერთიანებისათვის ბრძოლაში;
- ბ) საფრანგეთის გამარჯვებამ ავსტრია-უნგრეთთან ომში საშუალება მისცა იტალიის სამეფოს დაეკავებინა ქალაქი ნეაპოლი და ამით დასრულდა ქვეყნის გაერთიანება;
- გ) ავსტრიის მარცხმა ოსმალეთთან ომში შეასუსტა მისი პოზიციები ლომბარდიაში და ამით გაუადვილა იტალიის გაერთიანებულ სამეფოს დაეკავებინა ქალაქი მილანი;
- დ) საფრანგეთის მარცხმა პრუსიასთან შესაძლებელი გახდა ქალაქ რომის შეერთება იტალიის სამეფოსთან და ამით გაერთიანებისათვის ბრძოლა დასრულდა.

(1) 14. ვისი ვიზიტი შედგა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1920 წელს?

- ა) მეორე ინტერნაციონალის წევრი ევროპელი სოციალისტების;
- ბ) ამსტერდამის საერთაშორისო კონფერენციის დელეგატების;
- გ) გენუის კონფერენციის მემარჯვენე პარტიების წარმომადგენლების;
- დ) რუსეთის პირველი სათათბიროს წევრი რევოლუციონერების.

(1) 15. რის საფუძველზე გამოაცხადა საქართველოს უზენაესმა საბჭომ დამოუკიდებლობის აღდგენა 1991 წლის 9 აპრილს?

ა) საყოველთაო რეფერენდუმის;

ბ) ახალი კონსტიტუციის;

გ) პრეზიდენტის ბრძანების;

დ) მთავრობის დადგენილების.

ინსტრუქცია დავალებებისათვის № 16-18.

ქრონოლოგიურად დაალაგეთ ისტორიული მოვლენები და პიროვნებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის ან პიროვნების შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში იწერება ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენაა აღნიშნული და ა.შ. შესაბამისად, ბოლო, მესამე უჯრაში ის ციფრი ჩაიწერება, რომლითაც ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა აღინიშნა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) 16. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანეს დროს მომხდარი მოვლენები:

1. ბიზანტიელი სარდლების მიერ გუბაზ მეფის მკვლელობა
2. დიდი აჯანყება იმპერიის დედაქალაქში
3. ეგრისში „დიდი ომიანობის“ დასაწყისი

(1) 17. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ჯვაროსნულ ომებში მონაწილეები მათი მოღვაწეობის დროის მიხედვით:

1. ბალდუინ I ბულონელი
2. საფრანგეთის მეფე ლუი VII
3. ინგლისის მეფე რიჩარდ I ლომგული

(1) 18. ქრონოლოგიურად დაალაგეთ მეორე მსოფლიო ომის დროს მომხდარი მოვლენები:


1. კონფერენცია იალტაში
2. იაპონელების თავდასხმა პერლ-ჰარბორზე
3. სტალინგრადის ბრძოლა

ინსტრუქცია დავალებისათვის № 19.

თქვენ წინაშეა ერთი კონკრეტული ისტორიული მოვლენის აღმწერი ორი სხვადასხვა ტიპის წყარო: ბრძოლის სქემა და ტექსტი. შეაჯერეთ ორივე წყაროში არსებული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ შეკითხვებს მხოლოდ წყაროებში მოცემული ინფორმაციის მიხედვით. ყოველ კითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 6.

დავალება და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე





1453 წელს ინგლისელთა მხედართმთავარს ტალბოტს შეატყობინეს, რომ ფრანგები ხელახლა შეიჭრნენ გიენის რეგიონში და საფრთხე დაემუქრა ქალაქ კასტიონს. ტალბოტმა შეკრიბა ჯარი და კასტიონისაკენ გაემართა. მან გადაწყვიტა მოწინააღმდეგისათვის შეუმჩნეველად გადაადგილებულიყო, ამიტომ ჯარის ნაწილთან ერთად რთულად გადასალახ მარშრუტს დაადგა. ქვეითები კი, რომელთაც არ შეეძლოთ ამ მარშრუტით მოძრაობა სხვა გზით გააგზავნა. 17 ივლისს კასტიონის სიახლოვეში ერთ-ერთ მონასტერთან დაბანაკებულ ფრანგ მშვილდოსნებს ინგლისელებმა შეუტყეს. ფრანგების უმეტესობა დაიღუპა, დანარჩენები გაიქცნენ. ეს ფრანგთა ლაშქრის მცირე ნაწილი იყო, ჯარის ძირითადი ნაწილი კი მოშორებით, გამაგრებულ ბანაკში იმყოფებოდა. კასტიონიდან გამოგზავნილმა მაცნემ ტალბოტი დაარწმუნა, რომ მოწინააღმდეგის ძირითადი ლაშქრისთვისაც შეეტია. როდესაც ინგლისელები ფრანგთა გამაგრებულ ბანაკს მიადგნენ მათ ქვეითი ჯარიც შეუერთდა. ტალბოტის ლაშქარი მამაცურად უტევდა მოწინააღმდეგეს, ფრანგები წარმატებით იცავდნენ თავს, ამას მათი სამხედრო ტექნიკა განაპირობებდა. ტალბოტი ცდილობდა შეჭრილიყო მტრის ბანაკში, ხელში ჩაეგდო სამხედრო ტექნიკა, მაგრამ უშედეგოდ. თუმცა შეტევას განაგრძობდა. ფრანგთა ლაშქარი იღლებოდა. ამ დროს ბრძოლის ველზე აღმოსავლეთიდან ბრეტონელთა კავალერია შეიჭრა.

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

(1) **19.1.** კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა ჯონ ტალბოტის მიერ გადალახული მარშრუტის სირთულე?

(1) **19.2.** რომელი მდინარე ესაზღვრებოდა ჩრდილოეთიდან ფრანგთა გამაგრებულ ბანაკს?

(2) **19.3.** ინგლისელთა ჯარის რომელი სახეობის შენაერთებმა შეუტოეს მონასტერთან დაბანაკებულ ფრანგ მშვილდოსნებს?

(1) **19.4.** კონკრეტულად რა მოიმოქმედა ბრძოლის ველზე აღმოსავლეთიდან შემოჭრილმა ბრეტონელთა კავალერიამ ბრძოლაში ჩაბმის შემდეგ?

(1) **19.5.** რომელი მეომარი მხარის მხედართმთავრის დაღუპვით დასრულდა ბრძოლა?

ინსტრუქცია დავალებისათვის № 20.

ყურადღებით გააანალიზეთ ილუსტრაციაზე მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ კითხვებს. ყოველ კითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 5.

დავალება და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე





ინგლისური წარწერები:

მამაკაცის ჩაფხუტზე - ომი.

ქალის ქუდზე- ანტანტა

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

(2) **20.1.** სიმბოლურად რომელ სახელმწიფოს განასახიერებს ილუსტრაციაზე გამოსახული მამაკაცი და თქვენი აზრით, რაზე მიუთითებს მისი ასეთი სახით გამოსახვა?


(2) **20.2.** ომის შემდეგ შექმნილ რომელ საერთაშორისო ორგანიზაციას განასახიერებს ილუსტრაციაზე გამოსახული ბოქლომი და, თქვენი აზრით, რა სიმბოლური ფუნქცია აკისრია მას ამ ილუსტრაციაზე?

(1) **20.3.** რა ეწოდება იმ ისტორიულ მოვლენას, რომლის დასრულებასაც მოჰყვა ილუსტრაციაზე ასახული შედეგი?

ინსტრუქცია დავალებისათვის № 21.

დავალებაში მოცემულია გარკვეული ეპოქის ისტორიული რუკა. უპასუხეთ დასმულ კითხვებს, ხოლო პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 8.

რუკა და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე












ჩეჩენები


ოსები

შავი ზღვა

რუკის პირობითი აღნიშვნები

-  თავდამსხმელთა ლაშქრის გადაადგილება
-  თავდამსხმელთა ლაშქრის უკანდახევა
-  თავდამსხმელთა ადგილობრივი მოკავშირეების ლაშქრის გადაადგილება
-  თავდამსხმელთა ადგილობრივ მოკავშირეთა ლაშქრის უკანდახევა
-  მეფის ლაშქრის გადაადგილება
-  მეფის მოკავშირეთა ლაშქრის გადაადგილება
-  ქალაქი
-  დედაქალაქი

 1757 ბრძოლის ადგილი და თარიღი



კითხვები იხილეთ

შემდეგ გვერდზე

კითხვები:

- (1) **21.1.** რა ეწოდებოდა ქართულ სამეფოს, რომელშიც განვითარდა რუკაზე აღნიშნული სამხედრო მოქმედებების ძირითადი ნაწილი?
- (1) **21.2.** რა ეწოდებოდა სახელმწიფოს, რომლის ტერიტორიაც აღნიშნულია რუკაზე ყვითელი ფერით?
- (2) **21.3.** რუკის მიხედვით, ვისი გამარჯვებით დასრულდა 1757 წლის ბრძოლა და რუკაზე მოცემული რომელი ინფორმაცია ადასტურებს თქვენს მოსაზრებას?
- (2) **21.4.** რუკის მიხედვით, დასავლეთ საქართველოს რომელი ქალაქი იყო დაკავებული ქართველი მეფის მოწინააღმდეგის მიერ და რუკაზე მოცემული რომელი ინფორმაცია ადასტურებს ამას?
- (2) **21.5.** რუკის მიხედვით, რომელი სამთავროების ჯარები ეხმარებოდა ბრძოლაში ქართველ მეფეს?

ინსტრუქცია დავალებებისათვის № 22 და 23.

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტები და შეასრულეთ დავალებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. გაითვალისწინეთ, არგუმენტი უნდა იყოს კონკრეტული, აზრი კი - ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებული. თითო არგუმენტი ფასდება 1 ქულით. თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

დავალება 22.

რომის იმპერატორმა თეოდოსიუსმა IV საუკუნის ბოლოს გადაწყვიტა იმპერია თავის ორ შვილს შორის გაეყო. მრჩეველთა ერთი ნაწილი დაეთანხმა ამ მოსაზრებას, მეორე ნაწილი კი არ ეთანხმებოდა.

მოიყვანეთ არგუმენტი, რომლითაც იმპერიის ორად გაყოფის მომხრე საკუთარ მოსაზრებას განამტკიცებდა.

მოიყვანეთ არგუმენტი, რომლითაც იმპერიის ორად გაყოფის მოწინააღმდეგე საკუთარ მოსაზრებას განამტკიცებდა.

დავალება 23.

1089 წელს საქართველოს სამეფო კარზე გაჩნდა მოსაზრება, რომ ტახტზე აეყვანათ ახალგაზრდა უფლისწული დავითი. დიდებულთა ნაწილმა მხარი დაუჭირა ამ მოსაზრებას, ნაწილი კი - წინააღმდეგი იყო.

მოიყვანეთ არგუმენტი, რომლითაც დავითის ტახტზე აყვანის მომხრე საკუთარ მოსაზრებას განამტკიცებდა.

მოიყვანეთ არგუმენტი, რომლითაც დავითის ტახტზე აყვანის მოწინააღმდეგე საკუთარ მოსაზრებას განამტკიცებდა.

ინსტრუქცია დავალებისათვის № 24.

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი დავალება და შეაფასეთ მასში მოცემული ისტორიული პროცესის მნიშვნელობა. გაითვალისწინეთ, არგუმენტი უნდა იყოს კონკრეტული, აზრი კი - ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებული. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

დავალება 24.

1975 წლის 1 აგვისტოს ოცდათხუთმეტმა სახელწიფომ ხელი მოაწერა ჰელსინკის აქტს.

კითხვები:

(1) **24.1.** დაასახელეთ ამ ისტორიული მოვლენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი.

(1) **24.2.** შეაფასეთ ამ შედეგის მნიშვნელობა მსოფლიო ისტორიისათვის. აუცილებლად მოიყვანეთ არგუმენტი საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

ინსტრუქცია დავალებისათვის №25.

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 17.

ისტორიული დოკუმენტი და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე



სოლომონ მეფის ხელშეკრულება რუსეთთან

დღეიდან, ამ პირობების ხელმომწერი, მე სოლომონი ბაგრატიონთა გვარიდან და ჩემი შთამომავლები შევალთ რუსეთის ქვეშევრდომობაში, აწ ხელმწიფედ მყოფი ალექსანდრე პავლეს ძისა და მის მემკვიდრეთა მმართველობის ქვეშ.

მომეცეს მე და ჩემს შვილებს მისი იმპერატორობითი უმაღლესობის მფარველობა. თუ ღმერთმა არ ინება მამრობითი სქესის მემკვიდრის ბოძება, მაშინ ჩემს შემდგომ იმეფებს კონსტანტინე დავითის ძე და მისი მემკვიდრეები.

ხელმწიფის ნებით, მოგვეცა მე და ჩემს მემკვიდრეებს უფლება სამართლის განხორციელებისა ჩემს სამეფოში. როგორც მაცნობა საქართველოს მმართველმა გენერალმა თავადმა ციციანოვმა უფლება მექნება გამოვცე კანონები: მკვლელობის, ტყვეთა

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#)

სყიდვის, ქურდობისა და ავაზაკობის წინააღმდეგ. სანამ გამოიცემა ახალი კანონები, უფლება მექნება დამნაშავეთა დასჯისა მოქმედი წესებით, რათა აღიკვეთოს ბოროტმოქმედება.

რუსეთის ჯარი საუკუნოდ იდგება ჩემს სამეფოში, რათა დაიცვას სამეფო საგარეო თავდასხმებისგან და შეინარჩუნოს სიმშვიდე სამეფოს შიგნით.

არ ვიქნები დავიწყებული თუ ჩემს სამეფოში აღმოაჩენენ ოქროს, ვერცხლის ან რაიმე სხვა სახის მადანს. ასევე, თუ რუსეთის ქვეშევრდომობისას აღდგება რაიმე ქალაქი, არც მისი შემოსავლებისგან.

მე და ჩემი მემკვიდრეები დავემორჩილებით ყველაფერში იმპერატორის მიერ დანიშნულ საქართველოს მმართველს.

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

ჩემს სამეფოში მყოფ რუსეთის ჯარს ავუშენებთ სახლებს და მათი გათბობისათვის მივცემთ შეშას. ასევე მივაწვდით მათ ზომიერი ფასით და არა ძვირად: ხორბალს და ღომს, აგრეთვე ქერს და თივას ანუ ბზეს.

თუ აღმოჩენილი იქნება რაიმე სახის მადანი მივცემთ მუშებს საბადოებისა და მადნების დასამუშავებლად.

თუ ჩემი სამეფოს ტყეებში აღმოჩნდება რუსეთის იმპერიის შავი ზღვის ფლოტისათვის საჭირო და გამოსადეგი ხე-ტყე, საზღვაო ოფიცრებს უფლება ექნებათ მონიშნონ ეს ხეები, რათა სხვამ არ მოჭრას ისინი. ხოლო ამ ხე-ტყის მოჭრისა და ადგილზე მიტანისათვის მუშებს მიეცეთ ზომიერი და არა ძვირი გასამრჯელო.

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#)

გავათავისუფლებ დადიანის სამფლობელოდან წამოყვანილ ტყვეებს და დადიანს დავუბრუნებ ალებულ ციხეებს და მათზე აღარასდროს ვიდავებ.

გზას საქართველოს საზღვრიდან ქუთაისამდე და შემდეგ ოდიშამდე და ფოთამდე გავწმენდ და ყოველთვის წესრიგში ვიქონიებ. ასევე პასუხისმგებელი ვიქნები ამ გზაზე მიმავალი ქარავანების, სხვადასხვა მგზავრებისა და განსაკუთრებით სამხედროების უსაფრთხოებაზე.

რაც ეკუთვნის კონსტანტინე დავითის ძეს მამული, ექნება უშუალოდ საკუთარ გამგებლობაში იქიდან მიღებული შემოსავლით საცხოვრებლად. სამაგიეროდ, კონსტანტინე დავითის ძე უნდა იმყოფებოდეს საქართველოში ან რუსეთში ჩემი მეფობის დასასრულამდე, რათა მიიღოს შესაფერისი

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

აღზრდა და რათა მისი აქ ყოფნით არ აირიოს ჩემი მმართველობა სამეფოში მყოფი არაკეთილგანწყობილი ადამიანების მიერ.

არ ავიღებ საბაჟო გადასახადს იმ საქონელზე, რომელიც გადატანილი იქნება ჩემი სამეფოდან საქართველომდე და უკან, ასევე დადიანის სამფლობელომდე. სამაგიეროდ, იმპერატორი მე მომცემს გარკვეულ შემოსავალს რუსეთის საბაჟოებიდან.

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#)

ყოველივე ზემოთთქმულს მე ვამტკიცებ ჩემი და ჩემი მემკვიდრეების სახელით, ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

დაწერილია და ხელმოწერილია ქრისტეს შობიდან 1804 წელს, მარტის თვეში.

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

კითხვები:

(1) **25.1.** დოკუმენტის მიხედვით, სრულად დაასახელეთ მიზეზები, თუ რატომ უნდა იდგეს რუსეთის ჯარი „საუკუნოდ“ სოლომონ მეფის სამეფოში.

(1) **25.2.** თქვენი აზრით, რა იგულისხმება სიტყვებში - „არ ვიქნები დავიწყებული თუ ჩემს სამეფოში აღმოაჩენენ ოქროს, ვერცხლის ან რაიმე სხვა სახის მადანს“?

(1) **25.3.** დოკუმენტის მიხედვით, რით უზრუნველყოფდა სოლომონ მეფე უსასყიდლოდ რუსეთის ჯარს?

(1) **25.4.** დოკუმენტში რამდენჯერმე არის ნახსენები „საქართველო“, რომელი ორი კუთხე იგულისხმება მასში უპირველეს ყოვლისა?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)

(1) **25.5.** დოკუმენტში არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, დაასახელეთ რუსეთის იმპერატორის მოხელე კონკრეტული პიროვნება, რომლის დაქვემდებარებაშიც ექცეოდა სოლომონ მეფე დოკუმენტის ხელმოწერისთანავე.

(1) **25.6.** რა ეწოდებოდა სამთავროს, რომელთანაც, დოკუმენტის მიხედვით, ჰქონდა დავა სოლომონ მეფეს?

(1) **25.7.** დოკუმენტში არსებული რა ინფორმაცია ადასტურებს ამ დავის არსებობას?

(2) **25.8.** სრულად ჩამოთვალეთ, თუ რა სამუშაოებისთვის უნდა მიეცა სოლომონ მეფეს მუშები რუსებისთვის.

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)

(2) **25.9.** თქვენი აზრით, რატომ ამბობს უარს სოლომონ მეფე მის სამეფოზე გამავალი გზებიდან ბაჟის აღებაზე და დოკუმენტის მიხედვით, რას იღებდა სანაცვლოდ?

(2) **25.10.** დოკუმენტის მიხედვით, სრულად ჩამოთვალეთ, რა კონკრეტულ პასუხისმგებლობას იღებდა სოლომონი მის სამეფოში გამავალ გზებთან დაკავშირებით.

(2) **25.11.** დოკუმენტის მიხედვით, სრულად ჩამოთვალეთ ის მიზეზები, რომელთა გამოც კონსტანტინე დავითის ძეს „საქართველოში ან რუსეთში“ უნდა ეცხოვრა.

(2) **25.12.** გაიხსენეთ, კონკრეტულად რა მოიმოქმედა რუსეთმა, უშუალოდ, წარმოდგენილი ხელშეკრულების დადებამდე და რატომ?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)